იმდენად საოცარია მორწმუნის მდგომარეობა, რომ მას ყველა ვითარებაში სიკეთე აქვს მისთვის, და არ აქვს ის არავის გარდა მორწმუნისა

გადმოცემულია სუჰაიბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იმდენად საოცარია მორწმუნის მდგომარეობა, რომ მას ყველა ვითარებაში სიკეთე აქვს მისთვის, და არ აქვს ის არავის გარდა მორწმუნისა, თუ მას სიკეთე შეემთხვევა, ადიდებს ალლაჰს და მასში მადლია მისთვის, თუ შეემთხვევა რაიმე ცუდი, ადიდებს ალლაჰს და ამაშიც სიკეთეა მისთვის»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აღფრთოვანებულია მორწმუნის მდგომარეობით, კარგი მნიშვნელობით, რადგან მისი ყოველი მდგომარეობა მისთვის სიკეთეა, და ეს თვისება არ აქვს არავის, გარდა მორწმუნისა. თუ მას სასიხარულო რამ შეემთხვა, ალლაჰს მადლობას უხდის ამისთვის, და ამ მადლიერებით საზღაურს იღებს, თუ მას გასაჭირი შეემთხვა, მოთმინებას იჩენს და ალლაჰისგან საზღაურს ელის, რის შედეგადაც მოთმინებით საზღაურს იღებს. ასე რომ, ის ნებისმიერ მდგომარეობაში ჯილდოს იმსახურებს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3298